



შენიშვნები და კომენტარები სატყეო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ხე-ტყის სალიცენზიო პირობების ჩამონათვალზე

ა.წ. 26 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სატყეო დეპარტამენტმა შენიშვნებისათვის გავრცელა “ხე-ტყის სალიცენზიო პირობების ზოგადი ჩამონათვალი”. განცხადებაში ნათქვამია, რომ მათი შესრულება სავალდებულო იქნება ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ღიცენზიის მფლობელთათვის და ამ ჩამონათვალს მიეცემა სავალდებულო წესის ძალა ნორმატიული აქტის სახით.

წარმოდგენილი დოკუმენტი არის ა.წ. გაზაფხულზე გამოქვეყნებული სალიცენზიო პირობების ამონარიდი განაცხადებიდან (ტექსტის ფორმატირებაც კი არაა შეცვლილი). განაცხადების მიხედვით, 1 მაისს გამართულ აუქციონზე ტყის ჭრის 20 წლიანი ღიცენზიები იყიდეს ქართულ-ჩინურმა, ქართულ-ბელგიურმა და ქართულ-იტალიურმა კომპანიებმა, შესაბამისად სამეცნიერო-სკოლის, ახალციხისა და ყვარელის სატყეო უბნებში.

ზემოხსენებულ აუქციონს ჩვენ ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების უსაფრთხოებას და ბიომრავლებუროვნების დეგრადაციისაგან დაცვას (მით უმეტეს, რომ მოჭრის მიზნით ღიცენზია გაიცა განსაკუთრებით მაღალი კონსერვაციული ღირებულებებისა და ეკოლოგიურად სენსიტიურ ტყეებში), ასევე არ ითვალისწინებენ სოციალური საკითხებს.

სამინისტროს ხელმძღვანელობა გვპასუხობდა რომ ჩვენი არგუმენტები უსაფუძვლოა. სალიცენზიო პირობები ისეა შედგენილი, რომ ტყების დაცვაც და სოციალურ-ეკონომიკური საკითხებიც მოგვარება გარანტირებულია, ვინაიდან:

ა) ღიცენზიანტი ვალდებულია მართვის გეგმის შედგენა და ყოველწლიური საქმიანობის განახორციელოს საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) პრინციპების საფუძველზე, რისი დადასტურებაც მოხდებოდა FSC-ის მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის გაცემული დასკვნით.

ბ) ღიცენზიანტი ვალდებულია დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა, უზრუნველყოს არამერქნული რესურსებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა, ხოლო ნედლეულის პირველადი გადამუშავდება საქართველოში განახორციელოს, რაც ადგილობრივი მრეწველობის აღორძინებას შეუწყობს ხელს.

ჩვენ მიგვაჩნდა, რომ სალიცენზიო პირობები არასაკმარისი და ფორმალური იყო, რაზეც არაერთხელ მივწერეთ სამინისტროს და გამოვაქვეყნეთ მას მედიაში.

26 ივლისს გავრცელებული “ხე-ტყის სალიცენზიო პირობების ზოგადი ჩამონათვალი” გაცემულია ღიცენზიების სალიცენზიო პირობებისგან კი იმით განსხვავდება, რომ

ამოღებულია სწორედ ის პუნქტები, რომელიც სამინისტროს თავის მთავარ კოზირად და ჩვენი არგუმენტების გამაქარწყლებლად მიაჩნდა. კერძოდ, ამოღებულია:

- ✓ ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სატყეო სამურვეო საბჭოს (FSC) პრინციპების საფუძველზე შედგენილი მდგრადი მართვის გეგმა (ამოღებულია ხაზგსმული)
- ✓ მენეჯმენტის გეგმასთან ერთად წარმოადგინოს საერთაშორისო სატყეო სამურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ მენეჯმენტის გეგმაზე გაცემული დასკვნა
- ✓ ყოველი მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარმოადგინოს, მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების თაობაზე საერთაშორისო სატყეო სამურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შესაბამისად გაცემული დასკვნა.
- ✓ ლიცენზიებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად (კერძოდ ზე-ტყის დამზადება, გამოზიდვა, გადამუშავება და ა.შ.) დაასაქმოს არანაკლებ 90%-ის რაოდენობით ადგილობრივი მოსახლეობა. (სტილი დაცულია)
- ✓ სამასალე მერქნის პირველადი გადამუშავება განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე.
- ✓ გამარჯვებულს მართვის წარმოდგენამდე არ გააჩნია გასხვისების უფლება.

ამრიგად, ამოღებულია ის პუნქტები, რომლებსაც სამინისტრო მიიჩნევდა ტყის ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი გამოყენების გარანტად და საკმარის პირობად¹.

როგორც დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილია, ა.წ. 29 მაისს სამინისტრომ დადო მემორანდუმი საერთაშორისო სატყეო სამურვეო საბჭოსთან (FSC) (რომლის შინაარსიც საზოგადოებისათვის უცნობია). “საქართველოს სატყეო პოლიტიკის” დოკუმენტის პროექტში ჩაიწერა, რომ “საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საქართველოში მდგრადი მეტყევეობის განვითარების, ასევე ტყის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით საქართველოს პრიორიტეტულ ორიენტირს სატყეო სამურვეო საბჭოს (FSC) სახელმძღვანელო პრინციპების დამკვიდრება წარმოადგენს”. ჩატარდა 2 დღიანი შეხვედრა ბაკურიანში, სადაც მოწვეული იყვნენ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ამ ფონზე გაუგებარია და საჭიროა ახსნას სამინისტრომ, რატომ მოხდა სწორედ იმ მუხლების ამოღება სალიცენზიო პირობებიდან, რომლებზეც ისინი ამყარებდნენ დიდ იმედებს

¹ რაც შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყის არამერქნულ რესურსების მოხმარებას, ლიცენზიის პირობებში ნათლად წერია, რომ “არ შეზღუდოს მოსახლეობა პირადი მოხმარებისათვის ტყის არამერქნიანი რესურსებით (სოკობი, სამკურნალო, ტექნიკური ნედლეული და სხვა ბალაზული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობაზე”. როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან გახდა ცნობილი (გაზეთი მესხეთის ხმა, №27 (127), 23 ივლისი, 2007 წ.) ლიცენზიის მფლობელმა მოსახლეობას უნდა გამოართვას გარკვეული საფასური ასეთი სარგებლობისათვის, მაგ. 5 თეთრი 1 კგ კენკრა. საფასური შესაძლოა მინიმალურია, მაგრამ საკითხავია, რამდენად ნიშნავს ეს სალიცენზიო პირობის - “არ შეზღუდოს მოსახლეობა” შესრულებას და როგორ უნდა განახორციელოს პრაქტიკულად?

და მიაჩნდათ საკუთარი წარმატების ინდიკატორად. თუ ამოიღებენ, რა მიაჩნიათ ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებისა და სოციალური დაცვის გარანტიად?

ჩვენ ვამბობდით, რომ იმისათვის, რომ სერტიფიცირება მოხდეს FSC შესაბამისად, ქვეყანას უნდა ქონდეს დამტკიცებული ეროვნული სტანდარტები, რაც ჩვენთან არ არსებობს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს უკვე გაცემული ლიცენზიების ამ პირობის შესრულება. ამასთანავე, ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ხელუხლებელი ტყის მასივების გაცემა მოსაჭრელად არანაირად არ პასუხობს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ეკოსისტემურ მიღეომას. ამიტომ, ეჭვს გამოვთქვამდით, რომ რომელიმე სერტიფიცირებული ორგანო მოიწონებდა და გასცემდა დადგებით დასკვნას ასეთ მენეჯმენტის გეგმაზე. აქედან გამომდინარე, ინვესტორს გაუჭირდება სალიცენზიონ პირობის შესრულება. შედეგად, ერთი წლის შემდეგ მას ან ჩამორთმევა ლიცენზია, ხოლო მასში გადახდილი თანხა დაიკარგება, ან სამინისტრომ თვალი უნდა დახუჭოს პირობის შეუსრულებლობაზე:

ერთი ახსნა, თუ რატომ ამოიღეს პირობებიდან FSC სტანდარტებთან შესაბამისობა, არის სწორედ ახალი პოტენციური ინვესტორების მოთხოვნა, რომლებიც მიხვდნენ რა სიტუაციაშიც ჩავარდნენ 1 მაისს გამართული აუქციონის გამარჯვებულები.

სინამდვილეში, ტყის სერტიფიცირება ახალი და ეფექტური ინსტრუმენტია ტყეების მდგრადი მართვისათვის. ყველაზე მეტი რაოდენობით სერტიფიცირებული ტყეები არის ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. განვითარებად ქვეყნებში ეს ინსტრუმენტი ვერ გამოიყენება სათანადო სერტიფიცირებული აუდიტისა და სერტიფიცირების სტანდარტების არქონის გამო. როგორც წესი, სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. დამოუკიდებელ აუდიტზე კონტროლის ფუნქციის, ხოლო ინვესტორზე ინვენტარიზაციის გადაბარება იყო მცდარი გზა, რომელსაც დაადგა სამინისტრო. **კარგი იქნება, თუ საზოგადოებისთვის კომენტარების თხოვნასთან ერთად სამინისტრო აღიარებს თავის შეცდომებს და ახსნის სალიცენზიონ პირობების ამგვარი გამარტივების მიზეზს.**

სალიცენზიონ პირობები უნდა იყოს ინსტრუმენტი სამინისტროს ხელში, რომლითაც იგი ეფექტურად მოახდენს ჯერ ინვესტორის შერჩევას, ხოლო შემდეგ პირობების შესრულების მონიტორინგს. უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მოწონებულ ან დაწუნებულ იქნეს საინვესტიციო წინადადება. ინვესტორის შესარჩევად მხოლოდ მეტი ფასის გადახდა არ არის საკმარისი კრიტერიუმი. ამიტომ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ გარკვეული რეკომენდაციები სამინისტროს მიერ გავრცელებულ დოკუმენტთან დაკავშირებით.

1. მენეჯმენტის გეგმის შემუშავება მოეთხოვებათ 1 წლის შემდეგ, ამიტომ სალიცენზიონ პირობებში უნდა იყოს გაწერილი, რა მოეთხოვება ინვესტორს ამ ერთი წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შეიძლება მიღიონი ლარი გადაიხადოს ლიცენზიაში და 1 წლის განმავლობაში ორმაგი თანხა ამოიღოს არამდგრადი მეთოდებით მერქნის მოპოვების საშუალებით. ამიტომ საჭიროა, სალიცენზიონ პირობებში ნათლად იყოს ჩამოყალიბებული: პირველ წელს მოსაჭრელი რესურსის რაოდენობა სახეობების მიხედვით, ფართობი, რომელზეც შესაძლებელია ჩატარდეს ჭრები მთელი ლიცენზით გაცემული ფართობიდან, რესურსის მოპოვების მეთოდიკა (ჭრის სახეობები), მოთხოვნები სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისათვის, ინფრასტრუქტურის სქემა და ა.შ.
2. მართვის გეგმა, ... უნდა მოიცავდეს: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მის მიერ ჩატარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დეტალური ინვენტარიზაციის მონაცემებს;

მიგვაჩნია, რომ არ არის სწორი მიდგომა, როდესაც ინვენტარიზაციას ატარებს ინვესტორი, რომელიც დაინტერესებული მხარეა. ის შეეცდება გაბეროს მონაცემები რესურსის რაოდენობის შესახებ. თუ მაინცდამაინც გარდაუვალია, რომ ინვესტორს დაევალოს ინვენტარიზაციის ჩატარება (სახელმწიფოს ფინანსურად უჭირს, არ ყავს საკმარისი რაოდენობით მცოდნე კადრები და ა.შ.), უნდა ჩაიწეროს, რომ სახელმწიფო მოახდენს წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალების კონტროლს. ამისათვის სალიცენზიო პირობებში უნდა განისაზღვროს, რა მეთოდებით უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია; და რა მეთოდებით უნდა მოხდეს მისი გადამოწმება. ეს შესაძლებელს გახდის ინვესტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების და ინვენტარიზაციის მასალების ობიექტურად გადამოწმებას.

3. “მართვის გეგმა ... უნდა მოიცავდეს: ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებებს;” საჭიროა აიხსნას, რა იგულისხმება დაცვაში. თუ ლაპარაკია ფიზიკურ დაცვაზე ბრაკონიერებისგან, მაშინ რა კანონიერი საშუალებები გააჩნია ამისათვის ღიცენზის მფლობელს? მას არ შეუძლია იძულება გამოიყენოს, ძალა იხმაროს, თუნდაც ოქმი შეადგინოს. ან უნდა დაუკანონდეს ეს უფლებები, ან დაევალოს, რომ დაიქირავებს დაცვის სპეციალურ სამსახურს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, ვინ ახორციელებს ამ გარეშე პირების მიერ ტყის უკანონო ჭრებისგან ტერიტორიის დაცვას.
4. “მართვის გეგმა ... უნდა მოიცავდეს ტერიტორიის სატრანსპორტო ქსელის ათვისების სქემას” ეს საკითხი შინაარსობრივად უკავშრდება ქვემოთ მოცემულ მოთხოვნას: “სატრანსპორტო ქსელის მოწყობისას გზაზე მოყოლილი ხე-ტყე ჩაითვალის ტყეეთსარგებლობისათვის გამოყოფილი ტყეკაფის ფონდში”. ფორმულირებები ძალიან ზოგადია და ამის გამო, საკმაოდ ორაზროვანი და სახიფათო ეკოსისტემისათვის. უნდა ნორმატიულ აქტში განისაზღვროს, რა მაქსიმალური სიგრძის გზებია დასაშვები 1 ჰა სატყეო ფართობზე, რა უნდა იყოს გზების მაქსიმალურად დასაშვები სიგანე (მაქსიმუმ 4 მეტრი). წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენილი პირობები უბიძებს ლიცენზიანტს გაიყვნოს რაც შეიძლება ბევრი და დიდი სიგძისა და ფართო გზები, გზები გაატაროს საუკეთსო ხეებით დაფარულ აღგილებზე. ეს საშუალებას მისცემს პირწმინდა ჭრების საშუალებით მოიპოვოს ხე-ტყე.
5. “მართვის გეგმა, ... უნდა მოიცავდეს: ტყის ბიომრავალფეროვნების (ფლორის, ფაუნისა და წყლის რესურსების) დაცვის ღონისძიებებს.” ამგვარი ფორმულირება არაფრისმთქმელია, მით უმეტეს, როცა აღარ არსებობს FSC-თან შესაბამისობის მოთხოვნა. ბიომრავალფეროვნების დაცვა დაცული ტერიტორიების გარეთ, მათ შორის სამეურნეო ტყის ფონდში, ქვეყნის ვალდებულებაა და გარემოს დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. მისი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფო ინვესტორთან ერთად თავადაც უნდა გაინაწილოს. ეს შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს: სალიცენზიო პირობები უნდა შეიცავდეს ლიცენზით გასაცემი ფართობის შიგნით დაცული და დაცვითი ტყეების ჩამონათვალს, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რეჟიმი, მაგალითად ასეთი სახით: “ახალციხის სატყეო უბნიდან დაცვითი სტატუსი გააჩნია ურაველის სატყეოს № 41-43, 49, 50, 53, 54, 58-65, 68-73 კვარტლებს (სულ 2863 ჰა), სადაც აკრძალულია მერქინის მოპოვება, სატყეო გზების გაყვანა და სხვა სამეურნეო ღონისძიებების გატარება”. ლიცენზიანტის ვალდებულებებში უნდა იყოს: ყოველგარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე, საბინადრო გარემოზე, გარეულ ცხოველთა გამრავლების აღგილებზე, გადარჩენის სტაციებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და წყლის სასმელ ადგილებზე, განსაკუთრებით იშვიათ და წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებზე და მათ პაბიტატებზე, უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომ უზრუნველყოფდეს მათ

დაცვას. მენეჯმენტის გეგმაში აღწერილი უნდა იყოს ღონისძიებები, რომლებიც ამას უზრუნველყოფენ.

ბიომრავალფეროვნების დასაცავად საჭიროა სალიცენზიო პირობებში უნდა ჩაიდოს: “ლიცენზიანტიმა არ უნდა შუუშალოს ხელი ლიცეზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიის ჩამოყალიბებას”.

6. “მართვის გეგმა ... უნდა მოიცავდეს: ტყის გენეტიკური რესურსების სახეობებისა და ეკოსისტემების დაცვის ღონისძიებებს;” საქმაოდ ბუნდოვანი ფორმულირებაა, გაუგებარია რა განსხვავებაა წინასთან შედარებით. ბიომრავალფეროვნება არის მრავალფეროვნება გენების, სახეობებისა და ეკოსისტემების დონეზე და მისი დაცვა მოიცავს გენეტიკური რესურსებისა და ეკოსისტემების დაცვას. შინაარსობრივად იგივეა პუნქტი ზ) „ტყით სარგებლობისას მაქსიმალურად დაიცვას ტყის ეკოლოგიური მდგომარეობა და ტყის სხვა რესურსები დაზიანებისაგან”;
7. “უზრუნველყოს მართვის გეგმის საჯაროობა”. კარგი მოთხოვნაა, მაგრამ იმისათვის, რომ ის ეფექტური იყოს, სალიცენზიო პირობებში უნდა გაიწეროს რა იგულისხმება ამაში, მით უმეტეს, თუ ნორმატიული აქტის სახე უნდა მიეცეს. კერძოდ: მენეჯმენტის გეგმის საჯაროობისათვის სალიცენზიო პირობებში როგორც მინიმუმ უნდა ჩაიდოს 2 პირობა:

პირველი - მენეჯმენტის გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ინსტიტუციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

მეორე - სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენამდე 45 დღით ადრე მენეჯმენტის გეგმა უნდა გამოქვეყნდეს (ან განთავსდეს ელექტრონული ვერსია ინტერნეტში და ხოლო ნაბეჭდი სახით – მაქსიმალურად ხელმისაწვდომ ადგილას, რის შესახებაც ინფორმაცია უნდა გავრცელდეს მედიის საშუალებით).

ასეთი მდგომა პირველ რიგში აძლიერებს სამინისტროს პოზიციას. მენეჯმენტის გეგმის ხარვეზების დასადგენად სამინისტროს შეუძლია მარჯვედ გამოიყენოს საჯარო განხილვებზე გამოთქმული დასაბუთებული პრეტენზიები. არადამაკმაყოფილებელი მენეჯმენტის გეგმის შემთხვევაში სამინისტროს თავისუფლად შეუძლია მოთხოვოს ინვესტირს მათი გამოსწორება, შეთანხმების მიღწევა დაინტერესებულ მხარეებთან და მხოლოდ ამის შემდეგ თავიდან შემოტანა დასამტკიცებლად. ყოველივე ეს უნდა ჩაიდოს ნორმატიულ აქტში.

8. “ყოველი ახალი ტექნიკის ათვისება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადამოწმებული იქნება ჭრაგავლილი ტყეკაფი;” ძალიან კარგია, მაგრამ აქვე უნდა გაიწეროს, რა სანქციები იქნება, თუ გადამოწმებისას აღმოჩნდება მნიშვნელოვანი დარღვევები.
9. “არ შეზღუდოს მოსახლეობა პირადი მოხმარებისათვის ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (თესლი, ნაყოფი, ძირკვი, ლაფანი, ფიჩი, ნეკერი და სხვა) სარგებლობაზე; ი) არ შეზღუდოს მოსახლეობა პირადი მოხმარებისათვის ტყის არამერქნიანი რესურსებით (სოკოები, სამკურნალო, ტექნიკური ნედლეული და სხვა ბალაზეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობაზე” - ნათლად უნდა განისაზღვროს, რას ნიშნავს ეს არშეზღუდვა.

საფასურის დაწესებამ, თუნდაც სიმბოლურის, შესაძლებელია სერიოზული სოციალური დამაბუღლობა გამოიწვიოს.

10. ასევე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დაბალანსებისათვის საჭიროა ჩაიდოს მოთხოვნა, რომ პირველადი და მეორადი პროდუქციის წარმოება მოხდება საქართველოში, ხოლო ლიცენზიანტი ვალდებული უნდა იყოს მაქსიმალურად დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა.
11. სალიცენზიო პირობებში უნდა ჩაიდოს, რომ ლიცენზიანტი მოვალეა სათანადო განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანები დაასაქმოს სატყეო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას; ლიცენზიანტი მოვალეა დასაქმებულებს გატაროს უსაფრთხოების კურსი, გარკვეული რაოდენობით ადამიანები აღჭურვის თანამედროვე ცოდნით, თუნდაც სერტიფიცირების საკითხებში.
12. “არ მოახდინოს მავნე ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ტყის მავნებლებთან ბრძოლის საწინააღმდეგო ღონისძიებების დროს”; გაუგებარია ფორმულირება, რას ნიშნავს “მავნე”? მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება რეგულირდება კანონმდებლიბით.
13. “არ გამოიყენოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმები.” გაუგებარია, რა აზრია ამაში ჩადებული. ეს შეიძლება ისეც გაიგო, რომ ლიცენზიის მფლობელი არ უნდა შევიდეს “მაკდონალდსში”, ან არ მიიღოს ანტიბიოტიკები. ალბათ უნდა იყოს, რომ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისას აკრძალულია უცხო, ინტროდუცირებული სახეობების გამოყენება, ბიომრავალფეროვნების კონვენციის შესაბამისად. დღეისათვის ინტროდუცირებული ორგანიზმები მიჩნეულია, როგორც გარემოს დეგრადაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი.

იმდედი გვაქვს, რომ სამინისტრო შეეცდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში გამოასწოროს დაშვებული შეცდომები. ასევე, იმედი გვაქვს, რომ დამტკიცდება სატყეო პოლიტიკის შეთანხმებული დოკუმენტი, ხოლო სატყეო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, მათ შორის ახალი ტყის კოდექსი, შემუშავდება მის საფუძველზე, საჯაროობის და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა